




**№70, მაისი, 2020**

საქართველო–უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის გაზეთი მათთვის, ვისაც ცოდნის გაღრმავების სურვილი აქვთ, ლიდერობა სურთ და პროფესიონალიზმს ესწრაფვიან!



ღმერთმა დალოცოს საქართველო–უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის რექტორატი, პროფესორ–მასწავლებლები. ტექნიკური პერსონალი. სტუდენტი–ახალგაზრდობა და მათი მშობლები.

პროფესორი

რექტორის ტრიბუნა

# გარი ჩაფიძე – სტუდენტსა და რექტორს შორის, მთავარი კოლეგიალური ურთიერთობაა!



**გარი ჩაფიძე** საქართველო-უკრაინის სოციალურ-ურთიერთობათა ინსტიტუტის რექტორი. ქ. რუსთავის აკადემიური ქალაქის დამფუძნებელი. უნივერსიტეტი მოსკოვში დაამთავრა, სხვადასხვა დროს მსახურობდა, როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთის რიგ ქვეყნებში საპასუხისმგებლო და ნომენკლატურულ თანამდებობებზე. ამჟამად არის ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის წევრი, პროფესორი, საქართველოს საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი, საქართველოს ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა აკადემია „ქალდეა“-ს აკადემიკოსი, საქართველოში ეფექტური აზროვნების სკოლის დამფუძნებელი, ქ. ათენის (საბერძნეთი) ეროვნული უნივერსიტეტის საპატიო პროფესორი. ამერიკის შეერთებული შტატების ადამ სმიტის სახელობის აკადემიის ნამდვილი წევრი, ამერიკის შეერთებული შტატების ლინკოლნის უნივერსიტეტის პროფესორი, უკრაინის კადრების საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი, ქართველ ემიგრანტთა საერთაშორისო ცენტრის საბჭოს მდივანი ქალაქ ბრიუსელში (ბელგიის სამეფო). ქ. ჩერნიგოვის (უკრაინა) საკადრო პოლიტიკის საერთაშორისო ინსტიტუტის რექტორი. „ფაზისი“-ს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. ამერიკის შეერთებულ შტატებში, პენსილვანიის შტატის ქ. ფილადელფიის საერთაშორისო პოლიტიკისა და მთავრობის ინსტიტუტი გარი ჩაფიძის სახელობისაა. ასევე მის სახელს ატარებს ქ. ჩერნიგოვის (უკრაინა) სამთავრობო ინსტიტუტი. არის საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, საქართველოს მოსწავლე-ახალგაზრდობის გაზეთ „ჩირაღდანი“-ს მთავარი რედაქტორი, საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირის თავმჯდომარე, საქართველოს სამეცნიერო-პედაგოგიური ჟურნალის „სკოლა და ცხოვრება“ მთავარი რედაქტორი, საქართველოს გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ლიტერატორთა კავშირის თავმჯდომარე, პოლონეთის უშიშროების საერთაშორისო უნივერსიტეტის ქ. რუსთავის საკონსულტაციო ცენტრის დირექტორი, უკრაინის პერსონალთა მართვის ქ. კიევის რეგიონალური აკადემიის საქართველოს წარმომადგენლობითი სტრუქტურის ხელმძღვანელი, პერსონა 2019-ის გამარჯვებული საერთაშორისო განათლებისა და მეცნიერების განვითარების ნომინაციაში. ახალგაზრდობისა და სტუდენტთა საერთაშორისო ფესტივალის ფარგლებში „Духовні Джерела“ (უკრაინა) დაწესებული იქნა გარი ჩაფიძის სახელობის პრემია, რომელიც ყოველწლიურად ენიჭებათ მეცნიერული ბირთვის წამყვან სპეციალისტებსა და ახალგაზრდებს. არის უკრაინის უმაღლესი განათლების მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. ავტორია 100-მდე მხატვრულ-ლიტერატურული და 90-ზე მეტი სამეცნიერო წიგნისა, რომელიც თარგმნილი და გამოცემულია მრავალ ენაზე. არის უკრაინულ-ქართული ლექსიკონის სამტომეულის პირველი შემდგენელი და ოცზე მეტი ლექსიკონის ავტორი, რომელთაც დღემდე მსოფლიოში ანალოგი არ გააჩნიათ. მისი კვლევის სფეროებია: პედაგოგიკა და პედაგოგიკის ისტორია, მოზარდთა ფსიქოლოგია და ფილოსოფიური აზროვნება, პოლიტოლოგია და სამყაროს გარდაქმნის ახალი მოდელი, პოლიტიკა და პიროვნება, პლებისციტიკა და პოლიტიკური თეორიები, მედიცინა და ბიოეთიკა, კულტურა და აზროვნება, ჟურნალისტიკა და პიარი, ადამიანთმცოდნეობა და პერსონალთა მართვა, პოლიტიკური ფილოსოფია და კატაკლიზმები XXI საუკუნეში. მიღებული აქვს საქართველოს და საზღვარგარეთის ქვეყნების მთავრობათა ჯილდოები, მათ შორის: ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, იაკობ გოგებაშვილის, გალაკტიონ ტაბიძის, დავით გურამიშვილის, ვასილ სუხომლინსკის, მიკოლა დუბინის სახელობის მედლები და პრემიები, „საქართველო-უკრაინის მეგობრობის“, „საქართველო-მოლდოვას მეგობრობის“ „საქართველო-ყაზახეთის მეგობრობის“, „საქართველო-იტალიის მეგობრობის“, „საქართველო-ბელორუსიის მეგობრობის“, „საქართველო-საბერძნეთის მეგობრობის“, „საერთაშორისო მეცნიერული მიღწევებისათვის“, „საერთაშორისო მეცნიერული დამსახურებისათვის“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ფლაგმანის, ქართული კულტურისა და ხელოვნების ფლაგმანის, საქართველოს პატრიოტის, „პედაგოგიური ღირსების“ და სხვა მედლები. ასევე არის წმინდა გიორგის სახელობის მართლმადიდებლური ოქროს ჯვრის ორდენის, განათლების განვითარებისთვის ოქროს ორდენის, ამერიკის შეერთებული შტატების თავისუფლების ოქროს ორდენის, „უკრაინის პატრიოტის“ საპატიო წოდებისა და ოქროს ვარსკვლავის ორდენის, უკრაინის განათლების და მეცნიერების ფლაგმანის ორდენის, მსოფლიო მეცნიერების ფუძემდებლის, პლატონის ოქროს ორდენის და ღირსების ორდენის კავალერი.



– ლექციაზე შესვლა ნიშნავს ადამიანის სულში შესვლას, ამიტომ თითოეული ლექცია თავისებური პედაგოგიური პოემაა... საზღვარგარეთიდან დაბრუნებულმა, სადაც ევროპასა და რუსეთში, ასევე ბელორუსიასა და უკრაინაში, თანამედროვე განათლების სისტემის ფუძემდებლადაც მომიხსენიებდნენ, როგორც იმ დროისათვის ერთ-ერთ ყველაზე ახალგაზრდა რექტორს, საქართველოშიც პედაგოგიური მოღვაწეობა განვაგრძე და ქ. ჭიათურაში, რამდენიმე თანამოაზრესთან ერთად, რესპუბლიკისა და ქალაქის ხელმძღვანელობის მხარდაჭერით, აკადემია დავაფუძნეთ... მაშინ 23 წლის ვიყავი... ახალგაზრდა პროფესორი...

მსოფლიოში პირველად! ჩვენს აკადემიურ ქალაქში, საბავშვო ბაგა-ბაღი ნამდვილ თვითმფრინავში ЯК-40-ის სალონში გაიხსნა, ამიტომაც გახდა ეს უპრეცედენტო შემთხვევა დაპატენტებისა და დეპონირების საგანი...

თანამედროვე ბავშვების ტექნიკისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულების, ინტერესთა თანხვედრისათვის ჩვენთან ყველა პირობაა შექმნილი.

**– ალბათ ძნელი იყო პირველი ნაბიჯები...**

– ურთულესი, წარმოიდგინეთ, ეს ის პერიოდია, როდესაც არაფერი არ იყო სტაბილური, ყველაფერი ინგრეოდა, ნადგურდებოდა და ამ ფონზე ჩვენ ვქმნიდით, ვაშენებდით... აკადემიას! და დღეს, თავს უბედნიერეს ადამიანად ვთვლი, რომ სამწერლო საქმიანობასთან ერთად,ჩემი ცხოვრების გარკვეული წლები, მომავალი თაობების აღზრდასა და მეცნიერულ მუშაობას დავუთმე. უფრო მეტიც, ქუჩას მოვტაცე ბიჭები, აუდიტორიებში დავსვი და მეცნიერების მწვერვალებს თუ არა, მეცნიერების საწყის ელემენტებს მაინც ვაზიარეთ.

ეროსი მანჯგალაძის სახელობის თეატრისა და კინოს არაფორმალური პროფესიული განათლების სასწავლო ცენტრი, წარმატებული მიმართულების სახელოვნებო სასწავლებელია, მან არსებობის უმცირეს დროში შესძლო მოქცეულიყო საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალთა ყურადღების ცენტრში, საქართველოს, პოლონეთისა და უკრაინის ერთობლივი პროექტით ვიწყებთ მხატვრული ფილმის გადაღებას, ჩვენი სტუდენტების მონაწილეობით... სწავლება სამწლიანია, მიიღებიან IX და XII კლასდამთავრებულები, ასევე X-XI-XII კლასის მოსწავლეები სკოლაში სწავლის პარალელურად; სასწავლო გადასახადი წელიწადში -700 ლარი; კურსდამთავრებულები მიიღებენ სამენოვან, ოქროს ბეჭდიან დიპლომს!

**– თქვენ დიდი ხანია სტუდენტებთან მუშაობთ, ბუნებრივია, ყველანაირი სტუდენტი გინახავთ...**

– რასაკვირველია, მაგრამ არავისთან არ გამძნელებია საერთო ენის გამონახვა, თუ სტუდენტი ლექციაზე უყურადღებოდაა, ეს ლექტორის უნიათობაზე მეტყველებს, რამეთუ ამ უკანასკნელმა, ისეთი ინტერესით უნდა წარმართოს ლექცია, რომ სტუდენტს სხვა რამეზე ფიქრის საშუალება არ ჰქონდეს! თუმცა, ისიც მინდა აღვნიშნო, რომ ადამიანი მარადიული პრობლემაა, რომელიც ვერასოდეს ვერ გადაიჭრება... ჩვენ შეიძლება გავარკვიოთ რომელიმე მიმდინარეობათა მსოფლმხედველობა, ხოლო საკითხთა გლობალიზაციისათვის არ უნდა შეწყდეს სწრაფვა, დიახ, საკითხის სწორად დაყენება უკვე არის პრობლემის გადაჭრის დასაწყისი...

საბანკო საქმის სპეციალისტთა, ბუღალტერთა და ფარმაცევტთა გადამზადების 3-თვიანი კურსების პედაგოგები, თავიანთი უდიდესი გამოცდილებითა და უმაღლესი კატეგორიით, დღევანდელობისადმი მორგებულ სპეციალისტთა მომზადების გარანტად იქცნენ! სასწავლო გადასახადი თვეში 100 ლარია! კურსდამთავრებულები მიიღებენ სამენოვან სერთიფიკატს!

**– ცოდნა ყოველთვის სასიკეთო ასპექტში უნდა განვიხილოთ?**

– ამასწინათ ერთ-ერთ ლექციაზე ჩვენ დავამტკიცეთ ცოდნისა და განათლების საყოველთაო სასიკეთო მნიშვნელობა, ხოლო მომდევნო ლექციაზე მისი საპირისპირო, ანუ ცოდნის დამანგრევლობა და უაზრობანი, თუმცა ცოცხალი აზრი ყველაფერზე ძლიერია, ყველაფერზე მშვენიერი... სიხალისითა და ძალით არის დამუხტული ცოცხალი გონება, სწორედ ის გვიხსნის უსაგნო ოცნებებისაგან, განუწყვეტლივ გვიწვევს სამოქმედოდ, ცოცხალი გონება უნდა ისწრაფოდეს ცოდნისაკენ, ისე კი მარტო ცოდნაც არ არის სიკეთე, ადამიანს თუ მხოლოდ ცოდნა აქვს და არ გააჩნია სხვა არაფერი, ის საშინელი ადამიანია, უპრინციპო ადამიანი...

**– საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტი „EUCEN“-ის საერთაშორისო საგანმანათლებლო ევრო აკრედიტაციის მფლობელია, რომელიც ახლახანს წარდგენილი იქნა ბრიუსელში, IEAG-ის საერთაშორისო საგანმანათლებლო კომიტეტის აკრედიტაციისათვის...**

– დიახ, მაგრამ საქართველოში ჩვენი ფუნქციონირება არაფორმალური პროფესიული განათლების ეგიდითაა.

ეს განათლების ის ფორმაა, რომელსაც განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს რადიკალური ჩარევების გარეშე ვახორციელებთ, ისე ნუ გამიგებთ, მათთან თანამშრომლობის წინააღმდეგი ვიყო, პირიქით, საჯარო მოხელეებთან ურთიერთშეთანხმებული მოქმედება წარმატებული განათლებაა! მაგრამ უბრალოდ, ამ ფორმით, სრული ავტონომია გვაქვს, როგორც საქართველოში, ასევე უცხოეთთან მიმართებაში, ამიტომ ჩვენი ინსტიტუტის არაფორმალური პროფესიული განათლების ეგიდით რამოდენიმე სასწავლო ცენტრი დავაფუძნეთ ქ. თბილისში, ქ. რუსთავში, ანაკლიაში, ქ. აბაშაში, ქ. ფოთში, ქ. ქუთაისში, ქ. მარნეულში, ქ. თერჯოლაში, ქ. ოზურგეთში, ქ. ტყიბულში, ქ. თეთრიწყაროში, ქ. დმანისში, ქ. თელავში, ქ. ლაგოდეხში, ქ. გურჯაანში, ქ. ახმეტაში და სხვა.

საყურადღებოა სწავლის ხელმისაწვდომობაც, რომელიც ორსემესტრიანია და სწავლისთვის სემესტრული გადასახადი მხოლოდ 350 ლარია, სწავლის ხანგრძლივობა სამი წელი. საგულისხმოა, რომ ყველა ჩვენს სასწავლებელში მოქმედებს თანხების ეტაპობრივი გადახდა, ასევე 30-50-70 და 100 პროცენტიანი გრანტები, უფრო მეტიც, პირველი კურსის წარჩინებით დახურვის შემთხვევაში სტუდენტი არა მარტო განთავისუფლდება გადასახადიდან, არამედ სასწავლო სტიპენდიასაც მიიღებს თვეში 200 (ორასი) ლარის ოდენობით. ამასთანავე, სასწავლო თანხის გადახდაში (გარკვეული რაოდენობა, განსაზღვრული რექტორატის მიერ) შეღავათებით სარგებლობენ ლტოლვილები, საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლები და მათი ოჯახის წევრები, მრავალშვილიანები... ჩვენი სტუდენტები თანამედროვე ტექნოლოგიით აღჭურვილ კაბინეტ-ლაბორატორიებში მიღებულ თეორიულ კურსს, საქართველოსა და საზღვარგარეთ, კერძოდ, კი ამერიკის შეერთებულ შტატებში, ბელორუსიაში, პოლონეთში, ჩეხეთში, უკრაინაში... გავლილ პრაქტიკულ ცოდნასაც დაუკავშირებენ და პროფესიული თვითდამკვიდრების პროცესს უმტკივნეულოდ გადალახავენ... ამ მიზნით გაფორმებული გვაქვს ხელშეკრულებები შესაბამის სასწავლო დაწესებულებებთან, სადაც პრაქტიკის გავლის შემდეგ სტუდენტები დამატებით საერთაშორისო სერთიფიკატებს მიიღებენ, აქვე უნდა გაცნობოთ, რომ ჩვენი სტუდენტები სრულიად უფასოდ დაეუფლებიან კომპიუტერულ ცოდნას, ვიდეო-გადაღებას, ავტომანქანის მართვას და აღნიშნულ საქმიანობათა დამატებით სერთიფიკატებსაც მიიღებენ.

არაფორმალური პროფესიული განათლების სასწავლო ცენტრი საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა, სტუდენტები, პირველსავე კურსიდან, გადიან პრაქტიკებს შესაბამის ინსტანციებში, ბევრი მათგანი, სწავლის პარალელურად უკვე მუშაობს სპეციალობით, რამეთუ ჩვენთან ცოდნის მიღების უმაღლესი დონე ორიენტირებულია სასწავლო პროცესის სრულფასოვნებასა და დისციპლინის უმაღლეს მაჩვენებელზე, სწავლება სამწლიანია, კურსდამთავრებულები მიიღებენ სასწავლო პროგრამის გავლის დამადასტურებელ სამენოვან, ოქროს ბეჭდიან დიპლომს.

**– ბატონო გარი! თქვენი ყველა სასწავლებელი მაღალი დისციპლინითა და სწავლის უმაღლესი დონითაა ცნობილი...**

– დიახ! სადაც დისციპლინა მოისუსტებს, იქ არც სწავლის ხარისხია! სწავლა კი რთულია, მისი დაუფლება იოლად შეუძლებელია! ჩვენ, როგორც პედაგოგებისაგან, ასევე სტუდენტებისაგანაც შესაძლებლობათა მაქსიმუმს მოვითხოვთ!

ჩვენი ინსტიტუტის ეგიდით, ქ.რუსთავის აკადემიურ ქალაქში, უმაღლეს დონეზე ფუნქციონირებს მოხუცთა სახლი, ბენეფიციარ ბავშვთა დღის ცენტრი და დედათა და ბავშვთა სახლი, რომელთა მიმართულებაც, წარმატებული მომავალია!

**– ბატონო გარი! როგორი ურთიერთობა უნდა იყოს ლექტორსა და სტუდენტს შორის?**

– აუცილებლად კოლეგიალური! ეს ურთიერთთანამშრომლობის მოტივი კი ორივე მხარეზეა დამოკიდებული, მე ვთვლი, რომ სტუდენტს აღმზრდელის შიში არ უნდა ჰქონდეს, ზოგჯერ შეიძლება მეც დავიყვირო, მაგრამ არა იმიტომ, რომ ბრაზიანი ვარ! სხვათა შორის, ვინც არ მაინტერესებს, იმას არც ვუყვირი! ზოგჯერ აშკარად ჩანს, რომ სტუდენტს სწავლა არ უნდა, ერთხელ ეტყვი, მეორეჯერ აუხსნი, ბოლოს დავუყვირებ კიდეც! უცხოეთში კი, ეს პრობლემა არ დგას, იქ 15-16 წლისანი კი არ მიდიან სასწავლებელში, არამედ გაცილებით დიდები და ჭეშმარიტად ცოდნის მიღების სურვილს მოწყურებულნი...

ჩვენი ინსტიტუტის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ საბაღე მეურნეობა „ხილიანი“ – ქარელში, მარცვლეულის მეურნეობა „თავთავი“ – ლაგოდეხში და მეურნეობა „დაფნარი“ – თერჯოლაში, სტუდენტთა ფინანსური მასტიმულირებელია, რამეთუ აქ თანამშრომლობით მათ შეუძლიათ თვითონ გამოიმუშაონ სასწავლო გადასახადი და პირად ანგარიშზეც დაერიცხოთ გარკვეული თანხა.

სარედაქციო კოლეგია

რედაქციის მისამართი: 3700 ქ. რუსთავი შევჩენკოს ქუჩა №5; (აკადემიური ქალაქი) კორპუსი №4

ტელ: (0341) 22-25-00; 27-99-00; 22-77-77; 25-37-00; 25-39-00; 27-94-00; 27-96-00

ISSN 2298-0369

9 772298 036009

# ეს შენი სასწავლებელია!




„EUCEN“-ის საერთაშორისო საგანმანათლებლო
ევრო აკრედიტაციის მფლობელი
საქართველო უკრაინის სოციალურ
ურთიერთობათა ინსტიტუტის სასწავლო ცენტრები
აცხადებს მიღებას
IX და XII კლასდამთავრებულთათვის,
ასევე მიღებიან X, XI, XII კლასის მოსწავლეები
სწავლისაგან მოუწყვეტლად
არაფორმალური პროფესიული განათლების ეგიდით
მე თქვენი სტუდენტი ვიქნები
✓ კომპიუტერული ტექნოლოგიები
✓ დაცვა-პატრულირება
✓ გარემოს დაცვა
✓ შრომითი უსაფრთხოების დაცვა
✓ კრიმინალისტი
✓ ბანკის ოპერატორი
✓ ფარმაცევტის თანაშემწე
✓ კბილის ტექნიკოსი
✓ ვეტერინარი
✓ ბაგა-ბაღის აღმზრდელი
✓ კორესპონდენტი
✓ გიდი, ტურიზმი
მისამართი:
ქ. თბილისი, ჯავახეთის ქუჩა №7
ქ. რუსთავი, შევჩენკოს ქუჩა №5
(აკადემიური ქალაქი)
ქ. ანაკლია, რუსთაველის ქუჩა №143ა
ქ. აბაშა, აღმაშენებლის ქუჩა №141
ქ. ოზურგეთი, კვაჭალათას ქუჩა №5
ქ. ქუთაისი, ტ. ტაბიძის ქუჩა №29
ქ. ტყიბული, კოსტავას ქუჩა №1
ქ. თერჯოლა, აღმაშენებლის ქუჩა №3
ქ. ჭიათურა, ყაზბეგის ქუჩა №6
ქ. მარნეული, რუსთაველის ქუჩა №36
ქ. დმანისი, 9 აპრილის ჩიხი №25
ქ. წალკა, რუსთაველის ქუჩა №68
ქ. ბოლნისი, აღმაშენებლის ქუჩა №58
ქ. თეთრიწყარო, რუსთაველის ქუჩა №2
ქ. საგარეჯო, აღმაშენებლის ქუჩა №6
ქ. გურჯაანი, სანაპიროს ქუჩა №6
ქ. ლაგოდეხი, ვაშლოვანის ქუჩა №2
ქ. თელავი, ალაზნის ქუჩა №71
ქ. ახმეტა, რუსთაველის ქუჩა №9
კურსდამთავრებულები მიიღებენ სასწავლო პროგრამის გავლის დამადასტურებელ
საშენოვან დიპლომს! რომლითაც შეუძლიათ სწავლა განაგრძონ კიევის რეგიონალურ აკადემიაში,
შესაბამისი სპეციალობის, მესამე კურსიდან!